ხელშეკრულება №119

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ. ადიგენი                                                                                    15 აგვისტო 2013 წელი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო (მის: დ. ადიგენი, თამარ მეფის ქუჩა №5, საიდენტიფიკაციო კოდი 222729162, ა/ა GE51LB0120195189204000, სს „ლიბერთი ბანკის" ახალციხის ფილიალის ადიგენის სერვისცენტრი, ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი საკრებულოს თავჯდომარის გივი ენდელაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „გურამ მაისურაძე" (მის: დ. ადიგენი, სოფელი უდე, ს/კ 47001006852, ა/ა GE97TP0036010020018474, სს „პრივატ ბანკი" ბანკის კოდი CAOGE22) წარმოდგენილი გურამ მაისურაძის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.

1.2. „შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებით გამოყოფილი თანხით სოფელ ამხერის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის (მილების შეძენა, სათავის მოწყობა) სამუშაოების შესყიდვა თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5085 (ხუთიათასოთხმოცდახუთი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

კლასიფიკატორის კოდი CPV45200000 - სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

4. **შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია**

4.1. შესრულებული სამუშაოს ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს „შემსყიდველის" მოთხოვნებს და სახელმწიფო სტანდარტებს.

4.2. საგარანტიო ვადად წესდება 24 თვე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა;

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას 2013 წლის 30 სექტემბრამდე უზრუნველყოს სოფელ ამხერის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის (მილების შეძენა, სათავის მოწყობა) სამუშაოების შესრულება.

5.2. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდოდ „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციისა (ფორმა №2, სასაქონლო ზედნადები) და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6.2. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში.

6.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

## 7. მიწოდების ადგილი და ვადები

7.1. მიწოდების ადგილია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ამხერი

7.2. მიწოდება იწარმოებს 2013 წლის 30 სექტემბრამდე

## 8. სამუშაოს შესრულების პირობები

8.1. სამუშაოს დასრულების ბოლო ვადაა 2013 წლის 30 სექტემბრამდე

8.2. სამუშაოს შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ „მიმწოდებლის" წერილობითი მოთხოვნისა და „შემსყიდველის" თანხმობის შემთხვევაში.

8.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

## 9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ინსპექტირების პირობები

9.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

9.2 შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მეშვეობით. ინსპექტირებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფი გივი ყულჯანიშვილის ხელმძღვანელობით.;

9.3 შესასყიდი ობიექტის ინსპექტირების დროს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

9.4 სამუშაოს შესრულების პროცესში „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის სისტემატიურად წარმოდგენა „შემსყიდველისათვის" (იგულისხმება შესრულებული სამუშაოს ამსახველი უწყისები, აქტები (ფორმა №2).

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების ღირებულების 0.3 %-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

10.3. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელშეკრულება „მიმწოდებლისაგან" ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ: თუ „მიმწოდებლის" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

10.4. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე იმ შემთხვევებში თუ:

ა) „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
11.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.3 12. 1 პუნქტის შემთხვევებში „შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

## 13 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის მოლაპარაკების საფუძველზე;
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;.

## 14.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1 ხელშეკრულების დადმდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

14.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია სრული დასაბუთებით;

14.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 15 ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 მხარეები სრულად აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გადაკისრება მესამე პირისათვის შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ.

## 16 ხელშეკრულების დადების საფუძველი

16.1 ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულება

## 17 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე;

17.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

### მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი":
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ს/კ 222729162
ა/ა GE51LB0120195189204000
LBRTGE22 სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი 220101466

საკრებულოს თავმჯდომარე: /გ. ცნდელაძე/

„მიმწოდებელი":
ინდ. მეწარმე „გურამ მაისურაძე"
ს/კ 47001006852,
ა/აGE97TP0036010020018474
სს „პროვატ ბანკი"
ბანკის კოდი CAOGE22

ინდ.მეწარმე: გ. მაისურაძე

სოფელ ამბროლაურის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია (მილების შეძენა, სათავის მოწყობა)

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

2011 წელი

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულის ფასი | ჯამი | ერთეულის ფასი | ჯამი | ერთეულის ფასი | ჯამი | |
| 1 | სოფელ ამბროლაურის სასმელი წყლის სათავის [illegible] | კუბ.მ | 2 | 0 | 0 | 12 | 24 | 0 | 0 | 24 |
| 2 | [illegible] | კუბ.მ | 1,6 | 122 | 195 | 60 | 96 | 26 | 42 | 333 |
| 3 | დ-63 მმ-იანი პლასტმასის მილის შეძენა | გ/მ | 1500 | 1,87 | 2805 | 0 | 0 | 0,285 | 428 | 3233 |
| 4 | დ-63 მმ-იანი გადამყვანის ქურო | ც | 15 | 7,6 | 114 | 0 | 0 | 0 | 0 | 114 |
| | ჯამი | | | | | | | | | 3764 |
| | ზედნადები ხარჯები 8% | | | | | | | | | 301 |
| | ჯამი | | | | | | | | | 4065 |
| | გეგმიური დაგროვება 6% | | | | | | | | | 244 |
| | ჯამი | | | | | | | | | 4309 |
| | დღგ 18% | | | | | | | | | 776 |
| | ჯამი | | | | | | | | | 5085 |